ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135240885**
თარიღი:**28/03/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს „აკვაჰიდროსთვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და აუდიტური კომპანია „კომპაუდის“ (ს/ნ: 202385169) შეფასების დასკვნის საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს „აკვაჰიდროს“ (ს/ნ: 443860252) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (მიწის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდ(ებ)ი: 42.13.34.017.601; 42.13.34.047.601; 42.14.44.119) აღნაგობის უფლებით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.
2.წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს დანართი №1 - ის შესაბამისად, **შეფასების დასკვნის საფუძველზე.**
3.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი